# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 240 ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი 1909 წ. № 240

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათ. საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დიდი და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ დაისხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის, გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12. დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.


წარმოდგენა № 11. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 11.

ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს, 1909 წელს.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა ჰეერმანსისა.

## იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქმედებად თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. მღთაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, გრიმაშვილი, ნ. გვარამძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, გ. მატარაძე, შ. საფაროვი, მურვანიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „ქოჩრიანი ტოროლა".

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე კვ. გარდა 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ, ქირ.-აქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—24)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., და შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—192)

**ექიმი** კბილის ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს, საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამღრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—284)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—94)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (ხქეს. ქალ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. გოლოვ. ქუჩ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. მაფრანცოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—35)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) ამბულანსის მესახევი, იღხლიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—17)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—45)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—36)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით —1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთ 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—40)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ... N 9. (უ)

**ექიმმა** ქუთაისში. ვოლოხვა ავადმყოფების მეტად განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ზოგ. საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—16)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველ დღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

ნოვიცკი—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—12½ ს.

კალამქაროვი—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ, გარდა 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურ. 11½—12½ ს.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—ნ.—110)

**ექიმი** გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—46)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—49)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მოჩინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სავადმ. განყოფილება მესხდება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—47)

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიჭრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—31)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთ 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ბ—კვ.—91)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## 1909 წლის „ნაკადულის" პრემია

„რას გვიამბობს ოთახი" ავენარიუსით, დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში დარიგდება. ვინც სრულად არ წარმოადგენს ფულს, პრემიას არ მიიღებს. (3—2)


## ტფილისი, 29 ოქტომბერი

ბათომიდან ძლიერ სამწუხარო ამბები ისმის. ქართველ საზოგადოებაში გამეფებულა „ჭორი, მითქმა-მოთქმა, ინტრიგა და გველაძუობა", როგორც იწერება ჩვენი კორესპონდენტი (№ 237). „რაღად უნდა გაგიკვირდეთ, ამბობს იგი, რომ როდესაც მთელ საქართველოში ყველგან გადიხადეს ილიას სიკვდილის დღის თავზე პანაშვიდები, აქ არც კი არავის მოჰგონებია. მე შენ გითხრა, „პროგრესიული" რედაქცია იკისრებდა ასეთ საქმესაო". კორესპონდენტს სახეში ჰყავს გაზეთი „ბატუმსკია იზვესტია".

ამ გაზეთის პოზიცია სწორედ რომ გაუგებარი და უცნაური გახდა. საქმე პანაშვიდების გამართვაში არ არის, არამედ იმაში, რომ გაზეთი, რომელსაც მესვეურობენ ქართველები და რომელიც ქართველების ფულით ინახება, ხელს უწყობს განხეთქილებას და შფოთს, რომელმაც იჩინა თავი ბათუმის ქართველ საზოგადოებაში. ამას მარტო ჩვენი კორესპონდენტი არ ამბობს. „მომავლის" და „ზაკავკაზიეს" კორესპონდენტებიც იმასვე აღიარებენ.

და სამწუხარო ის არის, რომ ეს განხეთქილება და შფოთი „პარტიათა" შორის შეტაკების ნაყოფი კი არის, არამედ შედეგია პიროვნულ და არაპრინციპიალურ ინტერესების ერთმანეთში მოურიგებლობისა. ჩვენ აქეთან დაწვრილებით გარჩევაში ვერ შევალთ, თუ ვინ არის მტყუანი და მართალი—ბათომის ქალაქის თვითმართველობა თუ „ბატუმსკ. იზვესტია", რომელიც ცდილობს ასეთის დაბრმავებულის ჯიუტობით და მხნეობით გამგეობის გაშავებას საზოგადოების თვალში. ჩვენთვის მხოლოდ აშკარა და უტყუარი ერთი რომ არის. ბათომის გაზეთს სრულიად დაჰკარგვია შეგნება იმ ისტორიულ მომენტისა, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, დაჰკარგვია პოლიტიკური ტაქტი, ურომლისოდაც შეუძლებელია გაზეთის ნაყოფიერი მოღვაწეობა.

ბოროტების გმობა, ბოროტებასთან ბრძოლა კარგი, დიდებული საქმეა, მაგრამ როდესაც ხედავთ, ამ ბრძოლას ისეთის საშუალებით ეწევიან, რომ აორკეცებენ ბოროტებასა და მოუწყობლობასაც, უნებლიეთ გებადებათ ეჭვი იმის გამო, რომ აქ რაღაც სხვა განზრახვა იმალება, განზრახვა და მისწრაფება, რომელსაც საზოგადოებრივ სამსახურთან არავითარი კავშირი არა აქვს.

თავ. ანდრონიკაშვილსაც და გიორგი ქურულსაც გარგად ვიცნობთ. ჩვენს თანამოაზრებად არა ვსთვლით მათ. მაგრამ ყოველთვის ვიცით, რომ „ზომიერ მიმართულების" ქართველ მოღვაწეთა შორის მათ საპატიო ადგილი უჭირავთ, ვიტყვით აგრეთვე იმასაც, რომ მიუხედავად ზოგიერთ შეცდომებისა, მათი მოღვაწეობა საქართველოს განაპირა ადგილში არა თუ ეწინააღმდეგებოდა ქართველ ხალხის ინტერესებს, პირიქით სასარგებლოც იყო. გრ. ვოლსკის მიერ დაწყებული საქმე—ის, რომ სამეგრელო-გურიას, რომელნიც ისე შევიწროებულნი არიან ეკონომიურად, ცოტა არ იყოს ბათუმში მაინც ჰქონოდა საშუალება სულის მოსაბრუნებლად, შავი ზღვის პირას ქართველების გამაგრების საქმეს ხსენებული მოღვაწენი არ ღალატობდნენ და შეძლებისადაგვარად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

და გაზეთ „ბათუმსკია იზვესტიას" კარგად უნდა ესმოდეს, თუ რა ძნელია დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში თავის მოვალეობის ასრულება. უნდა ესმოდეს ისიც, რომ თუ ერთხელ წაბორძიკდა ქართველების საქმე ბათომის თვით-მართველობაში, მისი გამობრუნება ძნელი-ღა იქნება. უნდა ესმოდეს, რომ მადა გაღვიძებული და ბატონობის წყურვილით გამსჭვალული აუარებელი სული დასტრიალებს ბათუმელ ქართველობას და სულ იმის ლოდინშია, თუ როდის იქნება ის დღე, როდესაც ქართველები ერთმანეთს დასჭამენ და მათს ძვლებსა და ნაშთებზე ბატონობის და ძალადობის ტაძარს ააგებენ. უნდა ესმოდეს ყოველივე ეს, მაგრამ არ ესმის. არ ესმის იმიტომ, რომ გაზეთი მოკლებულია ქართულ საზოგადოებრივ ინტერესების შეგნებას და ამ ინტერესების სამსახურს ანდრონიკაშვილის და ქურულის დევნასა და უზომო და უთავბოლო გაკიცხვაში ჰხედავს.

ვიმეორებთ, გამგეობის ვექილობას არა ვკისრულობთ. მხოლოდ აღშფოთებულნი ვართ იმ გარემოებით, რომ გამკიცხველებს სრულიად ავიწყდებათ ის პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელშიაც ვცხოვრობთ, რომელიც შემუშავდა ქართველების წინააღმდეგ და ავიწყდებათ ისიც, რომ „პროგრესიულ" რუსულ ორგანოს, რომელიც ქართველების მესვეურობით გამოდის ბათუმში, ის შნო მაინც უნდა ჰქონდეს, რომ წვალებით და ვაი-ვაგლახით აშენებული საქმე არ დააქციოს.


კახეთის მეღვინეობის ლეჩის დამფუძნებელი

გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი"

Товарищество крестьянъ кахетинскихъ винодѣловъ-садовладѣльцевъ

„Кахетія"

(ამ ამხანაგობის ღვინო იყიდება ჩვენი ღვინის ყველა საწყობებში, მაღაზიებში და სამიკიტნო დუქნებში.)

Это вино продается во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кадалову.

(100—6.—10)

სახალხო სახლი

ძმ. ზუბალაშვილებისა

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ პარასკევს, 30 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება

## ცხოვრების გმირი

დრ. 3 მოქ. კარეევისა, თარ. ჩიკვაიძისა.

## ექიმთან

კომედია ივ. გომართელისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი თ. აფხაზიშვილი, ნ. ბაქრაძე, თ. გოგოლაშვილი, ა. კავთელი, მ. მარგველაშვილი, ტ. ხაგინაშვილი, მ. ქართველიშვილი, და ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანაშვილი, გ გელიკურაშვილი, გომელაური, გ. გოგია, ა. მეტრეველი, ვ. მატარაძე, ძირველოვი, ს. პეპანოვი, ს. რომანოვი, რ. ხალაყაია, მ. შალიკო, ნ. ჭანკვეტაძე და ჯიბლაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

(4—4) გამგე ა. ყორანაშვილი.


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თავრიზი.** თავრიზელი ვაჭრები და რუსი ქვეშევრდომები ალტაცებით ეგებებიან რუსთა ჯარის გაგზავნას არდებილში. იმედი აქვთ, რომ რუსის ჯარი შესძლებს მათი ქონების დაცვას. რეშიდ-ულ-მულკა, რომელიც რახიმ-ხანთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა, იტყობინება: რახიმ-ხანს გადაწყვეტილი აქვს თეირანზე გაილაშქროს, კონსტიტუცია უნდა გავაუქმოო.

**არდებილი** 25 ოქტომბერს ჩამოვიდა ყაზახთა უმანის პოლკის ერთი ასეული.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ პირველ წაკითხვის შემდეგ მიიღო საფინანსო კანონ-პროექტი.

**ადის-აბება.** აბესსინიის იმპერატორი მენელიკი შედარებით კარგად გრძნობს თავს.

**ვენა.** „პოლიტიშე - კორესპონდენტს" ათინიდან ატყობინებენ: საბერძნეთის საქმეებთან გაცნობილი წრეები ირწმუნებიან, ყოვლად შეუძლებელია, მეფე აიძულონ, საბერძნეთი მიატოვოს, ამ საქმეს ისეთივე ბედი მოელის, როგორც ტიპალდოსის მიერ მოწყობილ ამბოხებასო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ხმის უმეტესობით მიიღეს საარჩევნო რეფორმის შესახებ კანონ-პროექტის პირველი პარაგრაფი. ამ პარაგრაფით არჩევნები დეპარტამენტების საზოგადო სიების მიხედვით უნდა მოხდეს და არჩევნები პროპორციონალური უნდა იყოს. კენჭის ყრას ხანგრძლივის ტაშით მიეგებნენ უკიდურესი მემარცხენეები, მემარჯვენეები და ცენტრი. მინისტრ-პრეზიდენტმა ბრიანმა პროტესტი განაცხადა ასეთ რეფორმის წინააღმდეგ და დეპუტატთა პალატას შეეკითხა, სამინისტროს ნდობას უცხადებთ თუ არაო. ამის შემდეგ პალატამ ხმის უმეტესობით უარჰყო კანონ-პროექტის პირველი პარაგრაფი.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ ხმის უმეტესობით (157 ხმით წინააღმდეგ 40 ხმისა) უარჰყო მთავრობის წინადადება არჩევნების სისტემის შეცვლის შესახებ. მთავრობა წინადადებას იძლეოდა, ლონდონში ერთ დღეს მოხდეს არჩევნები, ამომრჩეველმა საარჩევნო ხმა შეინარჩუნოს, თუნდაც საცხოვრებლად ერთი ადგილიდან სხვაგან გადასახლდესო.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ლორდი სტენგოპი მთავრობას შეეკითხა რუს ფინანსისტების წინადადების შესახებ. რუს-ფინანსისტებმა წინადადება მისცეს ინგლისელებს იანცზიცზიანცის რკინის გზის გაყვანაში ჩვენც მიგვაღებინეთ მონაწილეობაო. სტენგოპს უპასუხა ახალშენების სტატს-სეკრეტარმა. მან სთქვა: რუს-ფინანსისტების მონაწილეობა ამ რკინის გზის გაყვანაში მარტო სესხში გამოიხატება. სესხი უზრუნველ-ყოფილი არ იქნება რკინის გზით. ვფიქრობთ, რომ ეს წინადადება არ ეწინააღმდეგება რუსეთთან 1899 წელს დადებულ ხელ-შეკრულებას. ინგლისის მთავრობას არა ჰგონია, რომ რუსეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადოს იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის ჩრდილოეთით ინგლისელები რომელიმე რკინის გზის გაყვანაში მონაწილეობას მიიღებენ იმ პირობით, როგორიც ეხლა რუს ფინანსისტებს უნდათ—მონაწილეობა მიიღონ იანცზი-ცზიანცის რკინის გზის გაყვანაში. ნუ დავივიწყებთ, რა ცვლილება მოხდა ჩინეთში მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება დასდეს ერთის მხრით რუსეთმა და ინგლისმა და ინგლისმა და იაპონიამ მეორეს მხრივ, ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ყველა რკინის გზების კანტროლი ჩინეთი იქნებაო.

**ვენა.** გამოირკვა, რომ 26 ოქტომბერს მომხდარ დემონსტრაციებში იუსტს უფრო მეტი მომხრეები ჰყოლია ვიდრე კოშუტს. ამას გარდა იმ დეპუტატებმა, რომლებმაც დემონსტრაციებში მონაწილეობა არ მიიღეს, განაცხადეს, იუსტის მომხრეები ვართო. პრესა ხაზ გასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ კოშუტის მომხრე დეპუტატის უმრავლესობა, რომლებიც ნაციონალისტების და ლიბერალების ბანაკებიდან, დამოუკიდებელთა ბანაკში გადავიდნენ, ნამდვილად აპონიის მომხრეები არიან. ამრიგად იუსტი სათავეში ჩაუდგა დამოუკიდებელთა პარტიის უმრავლესობას, რომელიც მომხრეა რადიკალურ საშუალებებისა. კოშუტი იმავე აპონიის პროგრამმას ჰქადაგებს, სახელდობრ იმას, რომ დამოუკიდებლობა თან და თანობით და გარემოების მიხედვით უნდა მოვიპოვოთო. მიუხედავად იმისა, რომ იუსტის რადიკალურ ტაქტიკის მომხრეები, უარჰყოფენ ყოველივე შეთანხმებას იმ პარტიებთან, რომლებიც მომხრეები არიან ავსტრო-ჰუნგრეთის განუყოფლობისა და სცდილობენ 1911 წლისათვის ჰუნგრეთისთვის ცალკე ბანკი დაარსონ, მათ მაინც იმედი აქვთ, რომ პარტიის სათავეში კოშუტს დასტოვებენ, რადგან ჰფიქრობენ, რომ

მთავრობის ორჭოფობა და შეუთანხმებლობა კომუტს აიძულებს თავის ტაქტიკა შესცვალოს.

### გაფიცვა.

**სიდნეი.** გაიფიცნენ ქვა-ნახშირის მაღაროების მუშები; ამის გამო მთელი პოლიცია ფეხზე დააყენეს. რკინის გზამ აღკრძალა იმ ქვა-ნახშირის გაყიდვა, რომელიც ამ ჟამად საწყობებსა და ნიუკესტლის ნავთსადგურში მდგომ გემებზეა.

**სიდნეი.** ნიუკესტლში ვაჭრობა შეჩერდა. ქვა-ნახშირის მაღაროების გაფიცულმა მუშებმა კომისია აირჩია. კომისია აღნუსხავს გაფიცვის მიზეზებს. ქვა-ნახშირის მაღაროების პატრონებს მუშებისა 200,000 მანეთი მართებთ.

### ჰაერში ფრენა.

**ბრაჩჩიანო.** დირიჟაბლით გაფრინდა სამხედრო მინისტრი. მინისტრმა ერთი საათი იფრინა და გაფრინდა 31 კილომეტრი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ამ უკანასკნელ დროს ხმა გავრცელდა, ვითომ რაკონიდჯში რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის და იტალიის მეფის შეხვედრის დროს ისეთი გადაწყვეტილება მიეღოთ, რომელიც ოსმალეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამის შესახებ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის ორგანო „ტანინი“ სწერს: ეს ხმა ყოველივე საფუძველსაა მოკლებული. ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, რომ რაკონიდჯში გადაუწყვეტიათ, დაიცვან ბალკანეთის ეხლანდელი მდგომარეობა, რაშიაც ოსმალეთიც დაინტერესებული და მოწადინებულია.

### რუსეთი

**რიაზანი.** ქალაქ საპოჟკაში გადაიწვა ორი სახლი. ერთ სახლში ამ დროს ქორწილი იყო. დაიღუპა 11, დაშავდა 1 კაცი.

**ასტრახანი.** ამ დღეებში ზღვაზე დიდი ღელვა იყო. დაიღუპა 215 ათასი ფუთი მაზუთი და 25,000 ფუთი ნავთი.

**ხარკოვი.** გადასწყვიტეს მალოროსიულ მწერალ კვიტკო-ოსნოვიანენკოს ძეგლი დაუდგან. ქალაქმა ამისთვის 3,000 მანეთი გაიღო. იმედი აქვთ, რომ დანარჩენ ფულს მოაგროვებენ.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა ვორონეჟის საგუბერნიო ერობის თავმჯდომარედ ნამყოფის კოლიუბაკინის საპელაციო საჩივარი. ბრალდებოდა შრომის ჯგუფის არალეგალურ ლიტერატურის შენახვა და გავრცელება მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, რისთვისაც ხარკოვის სამოსამართლო პალატამ ორი თვით ციხე გადაუწყვიტა. სენატმა გაამართლა კოლიუბაკინი.

**გროდნო.** სამოსამართლო პალატამ განიხილა ნაფიც-ვექილ გილერსონის საქმე. სასამართლომ გილერსონს ერთი წლით ციხე გადაუწყვიტა.

**კიევი.** ვოლჟსკო-კამსკის ბანკის განყოფილებიდან უცნობებმა მოიპარეს ბლანკები. ქურდებმა ამ ბლანკებით ბანკის სარატოვის, პერმის და სიმბირსკის განყოფილებიდან გაიტანეს 20,000 მანეთი. ჰფიქრობენ, რომ ბოროტ-განზრახველებმა სხვა ქალაქებიდანაც გაიტანეს ფული. დააპატიმრეს ბანკის დარაჯი, რომელსაც 500 მანეთი აღმოაჩნდა.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრი სახელმწიფო სათათბიროს ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვის გარდა 7,000.000 მანეთსა სთხოვს. ეს ფული პირველ დაწყებითი სწავლას მოხმარდება.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს მეშვიდე განყოფილებამ განიხილა დეპუტატ ბროდსკის არჩევის საქმე. განყოფილებამ დაადგინა, მოითხოვოს არჩევნების განაჩენის ასლი. კამათის დროს გამოირკვა, რომ განყოფილების ზოგიერთ წევრის აზრით, არჩევნებს ტეხნიკური მხრით სწორედ ჩაუვლია, ზოგიერთი კი საჭიროდ სთვლიდა არჩევნების ასლის მოთხოვნას და გადასინჯვას.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 1, ავად არის 174 კაცი.

**სიმფეროპოლი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში იალტასა და მის მიდამოებში ავად გახდა 30 კაცი.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **მამული რუსებს.** როგორც ვწერდით, თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილმა მოლაპარაკება გამართა რუსის გლეხებთან გარეთ-კახეთში კაკაბეთის მახლობლად მათ დასახლების შესახებ. ამ ადგილების შეძენის სურვილი რუსეთიდან 100 კომლმა გლეხმა გამოაცხადა და თავ. ანდრონიკაშვილთან მოსალაპარაკებლად ამას წინად წარმომადგენელნი გამოგზავნა. თავ. ანდრონიკაშვილი უკვე მორიგებია რუსებს. სულ რუსებს შეუძენიათ თავ. ანდრონიკაშვილისაგან 2000 დესეტინა და ბედ მიუციათ 15.000 მანეთამდე.

◆ **რუსის გლეხები შუა ქართლში.** ამ დღეებში ყუბანის ოლქის სოფ. ვოზნესენსკიდან ტფილისში ჩამოვიდა 6 გლეხი და შეუდგა ადგილების ძებნას. გლეხებს აღმოუჩენიათ შუაგულ ქართლში, გომის სადგურის მახლობლად 700 დესეტინა მამული რეიტერისა. გლეხებმა რუსების გადმომსახლებელ სამმართველოს გამგის თანაშემწეს ბ-ნ მულინს მიმართეს და დახმარება სთხოვეს ამ მამულის შეძენაში. გლეხები ადგილობრივ მიემგზავრებიან ადგილის დასათვალიერებლად.

◆ **ვაჩნაძეების ადგილების დასახლება.** ალაზნის გაღმა, კაბალში, თავ. ვაჩნაძეებს აქვთ კარგა მოზრდილი ადგილი, 37,000 დესეტინამდე. ამ ადგილს დასასახლებლად ჩვენი ქვეყნიდან ბევრმა უმიწა-წყლო ხალხმა მოატანა. გადავიდნენ უმიწწყლო იმერლები, ქართლელები და სხვანი. ქიზიყიდანაც გავიდნენ და შეუდგნენ აქ ადგილების დამუშავებას. ქართლიდან და ზემო იმერეთიდან კაბალში 1000 კომლამდე გადაბარგდა, მაგრამ ხალხს მკვიდრად ფეხი ვერ მოუკიდნია და ბევრნი ეხლა სხვაგან ეძებენ ადგილებს. მიზეზი ამისა ის არის, რომ ეს ამოდენა მამული თავ. ვაჩნაძეებს გაყოფილი არა აქვთ. საქმე იმაშია, რომ გლეხებს კაბალში მამული იჯარით აქვთ აღებული და იხდიან თითო თუმანს დესეტინაში. რადგან მამულის პატრონი ბევრია და რადგან მათ თანხმობით არა აქვთ საქმე მოწყობილი თითოეული მემამულე ცალკე იჭერს საქმეს მოიჯარადრეებთან, ხოლო ამის გამო მოიჯარადრე ჭატანჯულია, ერთის მაგიერ ოთხი და ხუთი სთხოვს ფულს. ამ ადგილის პატრონებში ზოგი ისეთია, რომ იცის საზოგადოდ ქართველი ხალხის მდგომარეობა და გულიც შესტკივა. ამათ ყურადღებას მივაქცევთ ამ გარემოებაზე, ილონონ რამ და მოახერხონ, რომ მოიჯარადრეებს შეეძლოთ მამულის ყიდვა ან გააუმჯობესონ იჯარის პირობები და ამით დაიხსნან შეუგნებელთა და მუქთახორათა გლეჯა-წეწვისაგან. ყველაზე უკეთესი იქნება, ვაჩნაძეებმა მიწა დასჭრან და ხალხი დაასახლონ. ხალხი ფულის გაღებას არ ერიდება თურმე.

◆ **ოთხი ლექცია.** ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში კვირას, 1 ნოემბერს, წაკითხული იქნება ოთხი ლექცია ერობის შესახებ. ლექციებს წაიკითხავენ ალ. ხატისოვი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. ბ. გვაზავა და [illegible]. მილიუტინი.

◆ **კახეთის რკინის გზა.** თავად-აზნაურობის დავალებით კახეთის რკინის გზის გამო პეტერბურგს მიდის ტფ. მაზრის მარშალი თავ. პ. ი. თუმანიშვილი. როგორც ვიცით, თავად-აზნაურობას ნება მიეცა გაიყვანოს კახეთში ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა. მაგრამ მასთან თავად-აზნაურობას აღუთქვეს, თუ 12 მილიონ მანეთზე მეტი არ დაჯდება, ნება მიეცემა განიერ-ლიანდაგიანი გზა გაიყვანოს. ახალმა გამოკვლევებმა ხათელ-ჰყვეს, რომ განიერ-ლიანდაგიან გზას 12 მილიონ მანეთზე მეტი არ მოუნდება. ამ საქმის გამო მიდის პეტერბურგს თავ. თუმანიშვილი.

◆ **ცეცხლი.** 26 ოქტომბერს ბაქოში ცეცხლი გაუჩნდა ლეიტერის ნავთის ქარხანას. „ბაკუ“-ს სიტყვით, ნავთის ქარხანას ცეცხლი წაჰკიდებია დილის ექვს საათზე და რაღაც 10—15 წუთში მთელი შენობა ცეცხლის ალში გახვეულა. შენობა და ნავთი ვერ გადაურჩენიათ. ქარხანაში ცეცხლის დროს აუარებელი ნავთი ყოფილა. სააგენტოს სიტყვით, დამწვარა 500,000 ფუთი ნავთი. ზარალი 175,000 მანეთს უდრის. ქარხანა დაზღვეული ყოფილა.

◆ **სცენის-მოყვარეთა დადგენილება.** 27 ოქტომბერს საღამოთი კერძო თათბირი ჰქონდათ ტფ. ქართულ სახალხო სცენის მოყვარეებს. თათბირის შემდეგ სცენის-მოყვარეთა კრებამ საჭიროდ სცნო დამოუკიდებელ წრედ გამოყოფა და სახალხო წარმოდგენების სისტემატიურად მართვა. ამის შემდეგ ახალი საკითხი აღიძრა—ცალკე წრე დაიარსონ აღნიშნულ მიზნისათვის, თუ შეუერთდნენ იმ წრეს, რომელიც ამ დღეებში დაარსდა. კრებამ დაადგინა, შეუერთდეს ქართულ სახალხო წარმოდგენების მართველ წრეს იმ პირობით, კი რომ წესდება შეცვლილ იქნეს, როგორც საწევრო ფულისა, ისე წევრთა რაოდენობის შესახებ. აღნიშნულ წრის გამგეობაში სცენის მოყვარეთაგან წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ ქ-ნი ქიქოძე და ბ-ნი ბაქრაძე.

◆ **მეორე აუზი ავჭალაში.** ავჭალაში ქალაქს წყლის ერთი დიდი აუზი აქვს, სადაც ფილტრებში გატარებული წყალი თავს იყრის და აქედან მილებით მოდის ქალაქისაკენ. რადგან გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ აუზი ტალახიანდება, გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ლაპარაკი აღიძრა მეორე აუზის გაკეთების შესახებ. როდესაც ერთი აუზი დატალახიანდება, წყალს მეორე აუზში შეაგროვებენ, ხოლო პირველ აუზს გასწმენდავენ. ახალ აუზის გამართვა ავჭალაში ქალაქს დაუჯდება 8000 მან. გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას საბჭოს წინაშე, რომ 8000 მან. გადასდოს ამ საქმისთვის.

◆ **დიდი სესხი.** უცხოელ კაპიტალისტთა წარმომადგენელმა ნაფიცმა ვექილმა პოტოცკიმ მოლაპარაკება გამართა ტფილისის ქალაქის გამგეობასთან ქალაქის მეოთხე სესხის ($3^{1}/_{2}$ მილიონ მანეთის) განაღდების შესახებ. ტფ. ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე აღიძრა საკითხი უფრო დიდი სესხის აღების შესახებ. როგორც მკითხველებმა იციან, ამ ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე მსხვილი საკითხი იქმნა წამოყენებული: ბალნეოლოგიურ სადგურის აშენება, წალკიდან სასმელ წყლის გამოყვანა, ჰიდრავლიკური სადგური, ელექტრონის განათება და სხვა. ყველა ამის განხორციელებას დიდ-ძალი ფული სჭირდება. მარტო ბალნეოლოგიურ სადგურის მოწყობას 5—6 მილიონი მანეთი დასჭირდება. ამიტომ ამ ხუთი ექვსი წლის წინად აღიძრა საკითხი დიდი სესხის აღების შესახებ. გამგეობას განზრახვა აქვს 30—35 მილიონი მანეთი აიღოს. ამ ფულით შესაძლებელი გახდება ქალაქის ყველა ვალის გადახდა და იმ დიდ საქმეების განხორციელება, რომელნიც გააუმჯობესებენ ტფილისის მდგომარეობას. გამგეობამ დაადგინა, 1910 წელს აღძრას შუამდგომლობა 30 მილიონ მანეთის სესხის აღების შესახებ და ამასთან მოიწვიოს ცნობილნი სპეციალისტები და შეუდგნენ აღნიშნულ საქმეების შესახებ პროექტების დამთავრებას.

◆ **უპასპორტოები.** პოლიციის მე-10 ნაწილში გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 16 უპასპორტო კაცი.

◆ **[illegible]** გაზეთ „[illegible]“-ში (№ 243) დაბეჭდილია ა. ხახანაშვილის წერილი გრიგოლ ვოლსკის შესახებ.

◆ **გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „ძმ. ზუბალაშვილების სახლში 30 ოქტომბერს დანიშნული წარმოდგენა „ცხოვრების გმირი“ და „ექიმთან“ ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო აღარ შესდგება. გამგე ალ. ყორანაშვილი“.

◆ **გვთხოვენ დავბეჭდოთ:** დიდუბეში დონდუკ-კორსაკოვის ქუჩა მეტად უპატრონოდ არის მიტოვებული. ქალაქის „მამების“ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. არ არის არც უწმინდურების არხები და არც სასმელ წყლის მილი. ქუჩას ქუჩის ფერი არა აქვს, რადგან ქვით მოფენილი არ არის. თუ ცოტათი აწვიმდა, გაუვალ ტალახად იქცევა. ზამთარში ხომ ამ ქუჩით გავლა საშიშარი ხდება. ნუ თუ, ვისკენაც ჯერ არს, ამ მივიწყებულ მხარეს არ გადმოხედავენ თავის ბედნიერის თვალებით?!“

◆ ინჟ. გ. ზ. ქურდიანს შეუდგენია პროექტი წყლის მილისა სოფ. ნინო-წმინდისთვის (ტფ. მაზრა). წყალი უნდა გაიყვანონ ორი ვერსის სიშორიდან და დაჯდება სულ 2500 მანეთი.

◆ ტფ. გუბერნატორის განკარგულებით სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნენ ეკატერინე ერამოვისა—3 მანეთით, სტეფანე გალკინი—2 მან. მირზა ბეკ გუსეინ ბეკოვი—25 მან. და სიმონ ბარუშკა—25 მან.

### ქუთაისი

◆ **ქალაქის საბჭო.** 26 ოქტომბერს ქალაქის საბჭომ 15-მდე საქმე განიხილა. მათ შორის ცოტად თუ ბევრად ყურადღების ღირსია შემდეგი საქმეები: ა) ქალაქის გამგეობის მცველები, იასაულები, მეეზოვე, შვეიცარი და ორიოდე კანცელარიის წვრილი მოსამსახურე, სულ 13 კაცი, შუამდგომლობდნენ ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ დაეთმოთ მათთვის თითო საჟენი შეშა (საღორიის ტყიდან), ღირებული 29 მანეთად, —24 მანეთად, ე. ი. 5 მანეთის დაკლებით. ამგვარად, ქალაქის ბიუჯეტს აკლდებოდა სულ 52 მანეთი. ამ საკითხმა დიდი კამათი და უთანხმოება გამოიწვია საბჭოს ორ სხდომაზე. პირველ სხდომაზე საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა მოსამსახუ-

# კავკასიის ერთობა!?

1.

მას შემდეგ, რაც ნება და შეძლება მოგვეცა თავისუფლად გველაპარაკნა ჩვენი ცხოვრების მოწყობაზე, მთავარი საგანი ჩვენი მსჯელობისა კავკასიის ერთობის საგანია. მართალია, ჩვენში არც ერთ პარტიას არ გაუბედნია სეპარატისტულ აზრთა გამოთქმა, პირიქით, სეპარატიზმი ყველას გველივით ეზიზღებოდა და ეზიზღება დღესაც, რუსეთთან ერთობა და საუკუნო კავშირი-კი თავის თავად საგულისხმო ჭეშმარიტებად ითვლებოდა და ითვლება, და ამ მხრით „ერთობაზედ“ ლაპარაკი მეტიც იყო. მაგრამ, მიუხედავად ამ საერთო სახელმწიფოებრივ ერთობისა, კავკასიისათვის მაინც ყველა ძალა-უნებურად აღიარებდა რაღაც განსაკუთრებულ ერთობასა, ყველა პარტია, ყველა მიმართულებისა და რწმენის კავკასიელი მაინც, თუ სხვა არავინ. ყველასათვის თავის თავად საგულისხმო ჭეშმარიტებად ითვლებოდა და ითვლება დღესაც აგრეთვე რაღაც განსაკუთრებული ერთობა კავკასიისა,—ერთობა, რომელიც ცალკეა აღიარებული და რომელმაც თავის თავად, როგორც მთლიანმა პიროვნებამ, უნდა განამტკიცოს ერთობა მთელს რუსეთთან. არა გუბერნიები, არა ის რაოდენობა მცხოვრებთა, რომელიც კავკასიაშია, განამტკიცებს რუსეთთან ერთობას, არამედ „კავკასია“, რომელსაც თავისი საზოგადოებრივ პიროვნება უნდა ჰქონდეს, თავისი განსაზღვრული უფლებანი და ვალდებულებანი რუსეთთან. სულ ერთია, რა ფორმაც ექმნება კავკასიის ამ საზოგადოებრივ პიროვნებას,—ფირმა ერობისა, ავტონომიისა თუ სხვა რამ ფორმა,—იგი მაინც „კავკასიად“ არის აღიარებული, ამ სიტყვას ეძლევა რაღაც განსაკუთრებული აზრი.

ჩვენ აქ არ გვინდა გავარჩიოთ ზემოხსენებულნი ფორმანი კავკასიის ასეთ საზოგადოებრივ პიროვნებისა, რომელიც რუსეთთან განამტკიცებს ამა თუ იმ განწყობილებას, არც პროექტების შემუშავება გვინდა. ჩვენთვის საინტერესოა თვით არსება კავკასიის საზოგადოებრივ პიროვნებისა; რას წარმოადგენს კავკასია, როგორც საზოგადოებრივი პიროვნება? რაში გამოიხატება მისი აწმყო ერთობა და მომავალშიაც ძლიერ საეჭვო ხომ არ იქნება განხორციელება ამ ერთობისა?

ჩვენ აქ არც კავკასიის ცხოვრების წვრილმანებზე ვილაპარაკებთ. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მოსაზრება გვსურს გამოვსთქვათ და სხვა არაფერი. ბეჯით დასკვნათათვის კი საჭიროა ხანგრძლივი კვლევა და ღრმა ცოდნა საგნისა.

ხანდახან რომელიმე საგანი ერთიანად და მთლიანად გვეჩვენება ხოლმე, მაგრამ როგორ უნდა დავამკვიდროთ ჩვენს გონებაში მისი ერთობა, თუ განსაზღვრული კრიტერიუმი არ გვექნება, განსაზღვრული თვალთახედვა, რომლითაც უნდა განვიხილოთ იგი? ყოველთვის საჭიროა ასეთი კრიტერიუმი, **ერთი რომელიმე** კრიტერიუმი მაინც, რომ **ერთი რომელიმე** ერთობა საგნისა განვამტკიცოთ. საგანს კი მრავალი მხარე აქვს, რომლითაც იგი განიხილების, და ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული,—ისეთი მხარე უნდა ამოვირჩიოთ ჩვენის საგნის ერთობის განსამტკიცებლად, რომელიც ჩვენს მიზანს უფრო შეეფერება. შეგვიძლია აგრეთვე შეძლებისა დაგვარად ყოველ მხრით განვიხილოთ საგანი, იგი მთლიანად მოგვეჩვენოს რომელიმე მხრითა და არა მთლიანად სხვა მხრით, და აქაც ჩვენი მიზნისაგან არის დამოკიდებული,—რომელი ერთობა გვჭირდება განსამტკიცებლად, რომ ამის და მიხედვით მივაქციოთ ყურადღება ჩვენთვის საჭირო ერთობისა და მთლიანობის დამამკვიდრებელ მხარეებს და არ მივაქციოთ ყურადღება იმ მხარეებს, რომლებიც ჩვენთვის არავითარ ერთობას არ განამტკიცებენ. ამ გვარად, ჩვენი მიზნის მიხედვით, შეგვიძლია განვამტკიცოთ ნამდვილი ერთობა საგნისა და აღმოვაჩინოთ მოჩვენებული მისი ერთობა, ხოლო ეს „სინამდვილეც“ და ეს „მოჩვენებაც“ აგრეთვე ჩვენი მიზნის თვალთახედვით გვეჩვენება ამგვარად.

მაგალითად, რუსეთის იმპერია ერთი და მთლიანია რუსეთის სახელმწიფო იდეის თვალთა ხედვით, რუსეთის სახელმწიფო კაცთა მიზანთა თვალთახედვით. კრიტერიუმი ამ ერთობისა მათთვის რუსეთის არსებობაა, თვით ფაქტი რუსეთის იმპერიის არსებობისა სრულიად და სწორედ განზომილ საზღვრებში. მაგრამ რამდენი ელემენტია რუსეთის იმპერიაში სულ სხვა და სხვა მიზნის მქონე, რომელნიც ამ თავიანთ მიზანთა მიხედვით მრავალ სხვა მხრით განიხილავენ რუსეთსა და ეს უკანასკნელიც მათთვის სრულიადაც არ არის ნამდვილი ერთობა, არამედ მოჩვენებული ერთობა, მრავალ ფეროვანება, რომელიც დღეს ნაძალადევ ერთობას წარმოადგენს. მართლაც, როდესაც ვიკვლევთ რუსეთს, როგორც სახელმწიფოს და ეს არის მიზანი ჩვენის კვლევისა (შეიძლება სხვა რამის მიზანიც, როგორც, მაგალითად, სახელმწიფო კაცებს აქვთ)—რუსეთი არის ამ თვალთახედვით ერთი და განუყოფელი. როდესაც იმავე რუსეთს ვიკვლევთ, მაგალითად, გეოგრაფიულის მხრით,—იგი მრავალ-ფეროვანია და მრავალ მთელ ერთეულისაგან შესდგება. როდესაც მას ვიკვლევთ ანტროპოლოგიურისა და ეთნოლოგიურის მხრით,—მაშინაც იგი არავითარ ერთობას არ წარმოადგენს. ისტორიულის მხრითაც იგი მრავალ-ფეროვანებაა. ხოლო ერთობ სოციალურად იგი არა თუ ერთი და მთლიანი არ არის, არამედ სრულიად სხვა და სხვა ნაწილთაგან შესდგება და ხშირად ერთი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ნაწილთაგანაც.

შეგვიძლიან შევამოკლოთ განსახილველი საგანი და ასეთნაირადვე შევხედოთ მას სხვა და სხვა მხრით. ავიღოთ, მაშასადამე ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს,—კავკასია,—და შევხედოთ ზემოხსენებულ თვალთახედვით და ვნახოთ, რას წარმოადგენს იგი. ყოველ მხრით განვიხილოთ, მაგრამ ჩვენს კრიტერიუმად დავისახოთ სოციალური მსგავსება, სოციალური ერთობა; განვსაზღვროთ, რა არის ჩვენთვის ეს სოციალური ერთობა და მერე ვნახოთ, ამ მხრით კავკასია მოჩვენებული ერთობაა თუ ნამდვილი. სოციალური მსგავსება იმიტომ ავარჩიეთ უმთავრეს მხარედ, რომ მიზანი ჩვენი, იდეალი ჩვენი არის რუსეთის ყველა **ბუნებრივ** სოციალურ ორგანიზმთა თავისუფლება და, თუ შესაძლებელია, მათ შორის თავისუფალი კავშირი, და არა სრულიად სხვა და სხვა სოციალურ ორგანიზმთა მთლიანად აღიარება ძალა-უნებურად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთობას კი არა, მრავალფეროვანებას წამოადგენენ.

რასაკვირველია, კავკასია ერთია რუსეთის ადმინისტრატიულის თვალთახედვით. წინად იგი სანამესტნიკო იყო, შემდეგ სამთავარმართებლო, ეხლა ისევ სანამესტნიკოა. იგი ექვემდებარება რუსეთის იმპერიის საერთო კანონებსა და სხვ. იგი დაყოფილია გუბერნიებად, როგორც სხვა მიწა-წყალი რუსეთის იმპერიისა. ევროპიდან რომ გამოხედოს კაცმა ამ თვალთახედვით კავკასიას, რასაკვირველია, იგი მისთვის რუსეთის ორგანიული ნაწილი იქნება,—ისეთივე „რუსეთი“, როგორიც მოსკოვის გუბერნიაა. ეს პირდაპირ შეესაბამება აგრეთვე რუსეთის სახელმწიფოებრივობის თვალთა ხედვას, მიზანს, იდეალს. როდესაც საქართველოში მეფობა მოსპეს, ამ მიზნისა და იდეალის სახელით პირდაპირ ბრძანება იყო ჩვენში მოსულ ახალ გამგეთადმი,—საჭიროდ ვსცანით საქართველო რუსეთის გუბერნიად გადავაქციოთ,—და ამ გადაწყვეტილების შესაფერად მოქმედებას ავალებდნენ. როდესაც მთელი კავკასია დაიპყრეს და მთელი ერთი ერი—ჩერქეზობა—მთლად ერთიანად გასწყდა და ოსმალეთში გადასახლდა, მათ ადგილებში რუსები ჩაასახლეს. აგრეთვე საქართველოში და კავკასიის სხვა და სხვა ნაწილში სახელმწიფო სცდილობს რუსების დასახლებას, რადგან იდეალი მისი კავკასიასა და რუსეთის შორის მარტო ადმინისტრატიული ერთობა კი არ არის, არამედ ნამდვილი, რეალური, რომლის დამატებაც, შედეგიცა და თვით უმთავრესი საშუალებაც იქნება ადმინისტრატიული ერთობა. როდესაც განხორციელდება ეს იდეალი, როდესაც კავკასიაში 99% რუსი იქნება, მაშინ სახელი კავკასიისა დარჩება, მაგრამ იგი რუსეთის ნამდვილი და ჰომოგენური ნაწილი იქნება. მაშინ განმტკიცდება მათ შორის ერთობა,—ერთობა, რომელსაც ემსახურება რუსეთის სახელმწიფო აზრი და რომლისაკენაც მიისწრაფვის იგი ეს ერთი საუკუნე.

დღეს კი ეს ერთობა მხოლოდ მოჩვენებულია ჩვენი მიზნის მხრით და ჩვენის თვალთახედვით. ადმინისტრატიული ერთობა ნამდვილი ერთობა არ არის. კავკასია რომ დაჰყო თოთხმეტ გუბერნიად, დანიშნო თოთხმეტი გუბერნატორი, რომელნიც ნამესტნიკს ექვემდებარებიან, მთელი მხარე რომ შეიყვანო რუსის

რების შუამდგომლობა იმ მოსაზრებით, რომ ქუთაისში გამგეობის მოსამსახურეებზე ბევრად უფრო ღარიბი და ხელმოკლე ხალხია, მაგრამ ქალაქს დახმარება არ გაუწევია. მხოლოდ უკანასკნელ სხდომაზე, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, საბჭომ დიდის ვაი-ვაგლახით, 14 ხმის უმეტესობით 10 წინააღმდეგ, შეიწყნარა შუამდგომლობა, მაგრამ ამავე დროს 13 „თავხედ“ მოსამსახურის სახელები და გვარები „кондуитный списокъ“-ში ჩაიწერა! ბ) ებრაელებს ქვიტიაშვილს და მოშიაშვილს დაურღვევიათ სავალდებულო დადგენილება და შენობები აუგიათ უპლანოდ, რის გამო ეზოები იმდენად დაუწვრილებიათ, რომ 20 ოთხკუთხ საჟენის ნაცვლად 5 საჟენიც არაა დატოვებული თავისუფალი ადგილი. თუმცა ქალაქის ინჟინერს მრავალჯერ გაუფრთხილებია ისინი, რომ უპლანოდ არ აეშენებინათ სახლები, ხაზიც უჩვენებია, მაგრამ მათ მაინც თავისი უქნიათ. ქალაქის საბჭომ ამას წინად განიხილა მათი თხოვნა, რომ ნება მისცემოდათ დაემთავრებინათ შენობები, მაგრამ უარი უთხრა, რადგან ნათლად სჩანდა სავალდებულო წესების დარღვევა. ამ სხდომაზე კი საბჭომ გააუქმა თავისი სრულიად კანონიერი დადგენილება და შეიწყნარა შუამდგომლობა. ამგვარად მან დააკანონა უკანონობა და მით წააქეზა დანარჩენი ებრაელები, რომ მათაც უპლანოდ აშენონ სახლები და იმგვარივე ბუნულათა უბანი შექმნან, როგორსაც წინად წარმოადგენდა ებრაელების რაიონი. აი, კარგი მაგალითი! გ) ქუთაისში მყოფ ჯარის უფროსის მოწერილობის თანახმად, გუბერნატორი წინადებას აძლევდა ქალაქს, რომ ჯარისთვის უფასოდ ეძლია წყალი. ქალაქის საბჭომ შეუძლებლად და უკანონოდ სცნო ჯარისთვის წყლის უფასოდ ძლევა არა თუ ახლა, როდესაც ქალაქს წყლისაყვანი არა აქვს, არამედ შემდეგშიაც-კი, როდესაც ქალაქს ექნება წყლისაყვანი. დ) ქალაქის სამკითხველოს მზრუნველად ერთხმად არჩეულ იქმნა დ. ს. კლდიაშვილი. ე) ქალაქის ღარიბებს მცხოვრებთ ეპატივად 3,000 მანეთი დარჩენილ გადასახადებიდან (2,000 მანეთი მემკვიდრე-ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად და 1,000 მანეთიც კავკასიის ნამესტნიკის გრაფის ვორონცოვ-დაშკოვს 50 წლის იუბილეს გამო). ვ) უყურადღებოდ იქმნა დატოვებული ორპირის ქუჩის მცხოვრებთა თხოვნა ქუჩის გაკეთებაზე გაწეულ ხარჯის პატიების შესახებ. ამავე დროს, თანახმად მათის თხოვნისა, დადგენილ იქმნა, აღიძრას შუამდგომლობა, რომ ორპირის ქუჩა, როგორც საფოსტო გზა, საერობო თანხით კეთდებოდეს. ზ) დადგენილ იქმნა, გენერლის ქუჩაზე, მაჭავარიანისეულ ადგილში, აშენდეს გასაქირავებლად სამი დუქანი. თ) დადგენილ იქმნა, კერძო ეტლებზე დაწესდეს იმგვარივე გადასახადი, როგორიც არსებობს ბირჟაზე მომუშავე ეტლებისათვის, ე. ი. წელიწადში თითო ცხენზე ექვსი მანეთი, თითო ხარსა ან კამეჩზე ოთხი მანეთი და სხვა.

## მოწერილი ამბები

**ქვემო იმერეთი.** ქვემო იმერეთში ეკონომიური კრიზისი უფრო და უფრო ძლიერდება ხალხი გაჭირვებაში ვარდება. მიზეზი ამისა ის არის, რომ დაეცა წარმოება მთელ ქუთაისის გუბერნიაში. 1904-5 წლებში, როდესაც ჭიათურა—ბათუმში გაჩაღებული მუშაობა იყო, მაშინ მოუსავლობა და გადასახადების გადახდა ისე არ აწუხებდა საქმეს, როგორც დღეს. მაშინ ხალხში ფული იყო და ხალხი იოლად გამოდიოდა. მაგრამ დადგა 1906 წელიწადი და ყველაფერი უკან-უკან წავიდა. წარმოების დაცემას რეაქციის გაძლიერება მოჰყვა და ამან კიდევ გაართულა საქმე: რეაქციამ არა ნაკლები მუსრი გაავლო და არა ნაკლებ დააზარალა ხალხი. დიახ, ერთსა იმავე დროს ხალხს ორი უბედურება დაატყდა თავს. ზოგიერთს სოფელს 3-4000 მანეთით აჯარიმებდნენ. სოფელში რომ რაიმე ქურდობა მომხდარიყო, ეგზეკუციას უგზავნიდნენ სოფლისავე ხარჯით... განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მიუხედავმა მემამულეებმაც დაიწყეს ჩივილი გლეხებზე. უჩიოდნენ ამ დროს ტყის გაჩეხვაზედ უჩიოდნენ სხვა ზარალსაც.

კრიზისის გაძლიერებას ხელი შეუწყო ჩვენმა უვიცობამაც. უვიცია ქვემო იმერეთი სამეურნეო საქმეში. არ იცის კარგად აბრეშუმის მოვლა, არ იცის ხეხილის მოშენება, არ იცის კარგად მიწის დამუშავება. ყველა ამან ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. **გ. ფახჩუნჯი.**

—

**სოფ. წედისი** (რაჭის მაზრა). წედისის საზოგადოებას შეადგენს სოფელი ქვედი, ირი და წედისი. ამ საზოგადოების სოფლის კანცელარიასთან არის ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. სანამ ეს კანცელარია მოთავსებული იყო სოფ. ირში, სკოლის საქმე თუ სულ კარგად არა, გვარიანად მაინც მიდიოდა, ცოტათი მაინც უწევდა სამსახურს საზოგადოებას და შეჰქონდა სინათლის შუქი მთიელ გლეხის ოჯახში. დღეს კი ამ სკოლას მარტო სახელი შერჩენია. იგი დაცარიელებულია. წლეულს არც ერთ ბავშვს არ შეუდგამს შიგ ფეხი. აგერ ორი თვე თავდება, რაც სწავლა დაიწყეს ყველგან და აქ, ამ კლასში კი, ჯერ არც ერთი ბავშვი არ გამოცხადებულა, თუმცა სკოლის მასწავლებელმა არა ერთხელ აუხსნა საზოგადოებას სწავლის მნიშვნელობა. პოლიციაც კი დაიხმარა ამ საქმეში, ბარე ორჯელ მიიყვანა ბოქაული, უნდოდა შიშით აექულებინა სოფელი, რომ ბავშვები მოეყვანათ, მაგრამ გლეხები ცივ უარზე სდგანან და გაიძახიან: აჰ გვინდა თქვენი სწავლაო. ეკითხავს მკითხველი რად გაურბის გლეხი სწავლას მაშინ, როდესაც სხვა სოფლელები ემუდარებიან უვლას, თქვენი ჭირიმე, გაგვიხსენით სკოლაო.

როგორც ზევითა ვთქვი, სანამ სკოლა სოფელში არსებობდა, ბავშვები საკმაოდ დაიარებოდნენ, მაგრამ როცა კანცელარია და მასთან სკოლა გადაიტანეს სოფლიდან მივარდნილ გზის პირად, სკოლის საქმეც უკუღმა წავიდა. მთელი ეს საქმე ერთი მედუქნის წყალობით მოხდა. ამ მედუქნემ დიდი ხანია მაგრა მოიკიდა ფეხი სოფელში. იმის დაუკითხავად მეზობელი-მეზობლისაგან ვერას ინათხოვრებს, ვერას გაჰყიდის, ვერას შეიტანს ოჯახში. სოფლელებს მით უფრო ეშინიათ, რომ იგი კარგად არის პოლიციასთან, ბოქაულ-სტრაჟნიკებთან. აი ეს კაცი აუტყდა სოფელს, რად გინდათ სოფელში სკოლა და კანცელარია, ხარჯის მეტი არა მოგდით-რაო. მისის მეცადინეობით და პოლიციის დახმარებით კანცელარია და სკოლა გადაიტანეს მივარდნილ ადგილას, გზის პირას, იქ, სადაც მისი დუქანია, რომ ამითი აეწია დაცემული ვაჭრობა თავის დუქნისა. სკოლა მოშორებულია წედისს 4, ქვედას 5 და ირისს 6 ვერსით. სიშორე კიდევ არაფერი, რომ გზები მაინც კარგი იყოს. 7-8 წლის ბავშვს კი არა, უფროსსაც ძალიან უჭირს წედისის ციცაბ აღმართზე ასვლა. აი, ამიტომაც გაიძახიან გლეხები, არც სწავლა გვინდა და არც ბავშვების ამოწყვეტაო. ესდა ბევრს ნანობენ, მაგრამ გვიან არის.

**რაჭველი.**

—

**ახალციხე.** სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რომ ადგილობრივი პროგიმნაზია მომავალი წლის ენკენისთვიდან გაიხსნება, ხოლო მისადმი გამოცდა მაისში მოხდება.

ქალ. ახალქალაქშიაც გადაუწყვეტიათ გიმნაზიის გახსნა და არც გასაკვირველი იქნება, ახალქალაქელებმა დაგვასწრონ...

ამასწინად ს. ვარევნთან მოუკლავთ თოკელი აბაშიძე (მაჭმადიანი) და გოკიელი თარჯამა. აბაშიძეს სწამებდნენ თურმე ეზახის მოკვლას და იარაღის აყრას, რომელიც მოხდა ამ ორი წლის წინად ახალქალაქის გზატკეცილზე.

**ქ. გვარამაძე.**

## სპარსეთის ამბები

**არდებილის აკლება**

(წერილი სპარსეთიდან)

არ ძალ-უძს ენას გამოთქმა იმ უბედურებისა, რაც ამ დღეებში ქალაქ არდაბილს გარდახდა. შახსევანელები რახიმ ხანის მეთაურებით თვე იქნება, რაც გარს შემოერტყნენ არდაბილს და ალებას ლამობდნენ. სათარ-ხანი თავის მცირე ჯარით იგერიებდა შეძლებისამებრ, მაგრამ ძლიერ ჯარს შახსევანელებისა, რომელიც შესდგება არა ნაკლებ ოცი ათას კაცისაგან, ვერ გაუძლო და 21 ოქტომბერს ღამე გაარღვია მტრის ჯარი და 70 ცხენოსან მხედრით გაჰქრა უჩინრად. უნდა ითქვას სიმართლე, რომ სათარ-ხანმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. ხუმრობა საქმე არ არის, ასეთი უთვალავი ჯარი გაარღვიო და გახვიდე უვნებლად.

უნდა ნახოთ თვალით ის ვაი-უბედურება, რაც მტრის შემოსევით არდებილს დაატყდა, თორემ ენასა და კალამს გამოთქმა არ ძალუძს. აწიოკება, გაყვლეფ-გაცარცვა, გაუპატიურება, განადგურება, კვლა, წვა და რბევა—არაფერი არ ასცდა ამ საცოდავ ქალაქს. გუშინ რომ მილიონერად ითვლებოდა, დღეს იოტის ოდენი აღარ გააჩნია.

ერთს სოვდაგარს წაართვეს 800 აქლემი თავის კურტნით და ამით მხოლოდ ნოხები წაიღეს! მკითხველი თვითვე მიხვდება, რვაას აქლემს რა ღირებულების ნოხის წაღება შეუძლიან. მეორეს 670 აქლემი წაართვეს და მით ნივთეულება და ოქრო-ვერცხლი გაზიდეს კარდალში. მესამეს 580 აქლემი წაართვეს და ამით მხოლოდ ფარჩეულება აბრეშუმეულება წაიღეს. ხოლო დანარჩენებს წაართვეს არა ნაკლებ 5000 აქლემისა და 25,000 ჯორცხენისა. ესენი დატვირთეს სხვა და სხვა ფართლით და საქონლით. ერთის სიტყვით, არდაბილში და მის მიდამოებში შაურის საღირალი არ დაუტოვებიათ.

სხვათა შორის, გაძარცვეს რუსის კონსულის აგენტი გამიბულაევი, რომელსაც წაართვეს 15,000 ათასი ტომარი შაქარი (ტომარში ხუთი თავია), ას ორმოცდა ათი ფუთი ჩაი და სამი ათასი თოფი ფართლეულება. გაძარცვეს აგრეთვე ერთი რუსის ქვეშევრდომი ექიმი და მეორე სპარსეთის ქვეშევრდომი ექიმი, ექვსი რუსის ქვეშევრდომი სომეხი და ერთი აისორი.

ყველა ამა მიზეზებისა გამო გუშინ, 27 ოქტომბერს, უკვე გაიგზავნა ჯარი. **ასტარელი.**

—

**არდებილის მდგომარეობა.**

18 ოქტომბერს 200 შახსევანი დედაკაცის ტანისამოსში გადაცმული შეიპარა არდებილში და ხელში ჩაიგდო ქალაქი. სათარხანი თავის მხედრებით თავრიზს გაიქცა. შახსევნებმა ყველაფერი ცეცხლსა და წყალს მისცეს. გაანადგურეს პოლიციის სამმართველო, ენჯუმენის ბინა, ქალაქის თვითმართველობა, სასამართლოს ბინა და სხვა. მოქალაქეები დასცარცვეს. თავზარდაცემული მოქალაქენი რუსეთის საკონსულოს ბინას მიაწყდნენ. საკონსულოს შენობა და ეზო ხალხი სავსეა. შახსევნებმა ბინად აირჩიეს სოფელ კელხორონი, რომელიც არდებილიდან ხუთი ვერსის მანძილზე მდებარეობს. არდებილის სადარაჯოთ 100 მხედარი ჰყავთ დაყენებული. საკონსოლოში თავმოყრილი ხალხი ანუ ბესტში მყოფნი თხოულობენ ყოველგვარ დახმარებას. სასმელ საჭმელი არ გააჩნიათ. თეირანიდან არდებილისაკენ ეფ'ემა მიდის, ის ჟანდარმთა რაზმის უფროსად არის და არდებილის განსათავისუფლებლად მიეშურება. ასტარაში ჯარი იყრის თავს. 850 კაცი იცდის არტარაში. მთელიან მუუზელ სალტანეს 800 რევოლიუციონერით.

## მცირე განმარტება

(არჩ. ჯორჯაძის წერილის გამო)

დიდის სიამოვნებით წავიკითხე ბ. არჩილ ჯორჯაძის წერილი შესახებ ჩემის ლექციისა. არა იმიტომ, რომ ამ წერილში ბევრგან ჩემი ქებაცაა, არამედ მისთვის, რომ აქ მეტად მიუდგომელი კრიტიკაცაა გაყვანილი. აქამდე ჩემს ლექციებს ან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ან ლანძღვა-გინებით; პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებას გადასცემდნენ. არჩილ ჯორჯაძის წერილში-კი საერთო შთაბეჭდილებასთან ერთად ლექციის ავკარგიანობაზედაც არის ლაპარაკი, ლაპარაკი მიუდგომელი, გაზომილი, ობიექტიური. ეს სასიხარულო მოვლენად მიმაჩნია ჩვენს მოწამლულს ატმოსფერაში: არჩილ ჯორჯაძის წერილი ნიმუშია იმისი, თუ როგორ უნდა იწერებოდეს კრიტიკული შენიშვნა. ნაკლის ჩვენება საწყენი არაა, რადგან არც სრულია არავინ. მაგრამ იგი ჩვენება უნდა იყოს სიყვარულით გამოწვეული და არა შურიანი მძულვარებით. ვიმეორებ: არჩილ ჯორჯაძის წერილი მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს თავის მეგობრული ცოდნითა და მიუდგომელი აწონ-დაწონვით.

აქ მინდა აღვნიშნო, რომ არჩილ ჯორჯაძემ სხვანაირად გაიგო ჩემი აზრი შესახებ ბარათაშვილის ლირის მთავარი მოტივის წარმოშობისა. იგი სწერს: „გრ. რობაქიძემ ამ საკითხს საკმარისი ნათელი ვერ მოჰფინა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, თითქოს მარტოოდენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას შეეძლო ბარათაშვილის გულში შეექმნა და შეემუშავებინა შინაარსი მგოსნის პოეტურ შემოქმედებისა“. ჩემი აზრის ასე გაგებაში ბრალი მე თვითონ მიდევს. როგორც პატივცემული ავტორს შეუმჩნევია, ლექციის დაწყების წინ მეტად აღევებული ვიყავი, მაღალი ტონით დავიწყე, ხმას თავისუფლად ველარ ვხმარობდი, და აღძრული კითხვა ვერც განვავითარე და ვერც სავსებით გავანათე, ბევრი კიდეც გამოვტოვე. მეორე და მესამე ნაწილში კი მას ვერ დაუბრუნდი, რადგან მათი მთლიანობის დარღვევის მეშინოდა.

აი, რა აზრის განვითარება მინდოდა. მგოსანი და ეროვნული სხეული ორგანიულად არიან ერთი მეორესთან დაკავშირებულნი. ყოველი მგოსანი ინდივიდუალობაა, და როგორც ამგვარი, განუმეორებელი, განსაკუთრებული, განცალკევებული; მას საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც სხვისაგან არ გამოიყვანება და არც სხვად დაიყვანება. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იგი არ არის მოწყვეტილი: პირიქით, იგი შესხეულებულია მსოფლიოსთან და უხვდება თავის ბუნების გაშლა მსოფლიოს განსაზღვრულ ფარგლებში. აქედან, მისი შემოქმედება ორი თვალსაზრისით უნდა იხილებოდეს: აბსოლუტურით და ისტორიულით. აბსოლუტური თვალსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსანის ბუნებას, მის ერთხელ მოვლენილსა და განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტორიული თვალსაზრისი მიზეზობრივ ხსნის, თუ რომელი განსაზღვრულ წრეში მხილდებოდა (და არა იქმოდა) მისი ბუნება. ამნაირადვე შეგვიძლია განვიხილოთ ბარათაშვილიც. იგი თავის გენიალურ ბუნებით წინუსწრობდა მთელს მის თანადროულ ქართველობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი მთელი თავისი არსებით ქართველობის, როგორც სულიერი ერთეულის, სხეულს ეკუთვნოდა. მისი ბუნება, რასაკვირველია, განსაკუთრებული, სხვით გამოუყვანელი იყო, მაგრამ იგი ვითარდებოდა, მხილდებოდა ეროვნულ საზღვრებში. მე ვამბობდი: „წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას, ხოლო აწმყო საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისას“. მივაქცევ ყურადღებას ამ ფრაზას. აქ არის ნათქვამი: „აღვიძებს“ და არა: „ჰქმნის“. ეს კი სხვა აზრის გამოსთქმამს, ვიდრე [illegible] ჰგონია. გარდა ამისა, [illegible] არ მიხმარია [illegible] ლიტიკური [illegible] მე, ბარათაშვილის დროის საქართველოს დაცემას რომ ვეხები, მედეველობაში მაქვს ქართველთა კულტურული შემოქმედებითი ძალის მოკანცვა, დაღლილობა, დასუსტება; სოციალ-პოლიტიკური მომენტი კი აქ „სხვათა შორის“ გამოდის. მთავარ მოტივს ბარათაშვილის ლირისას მისი ლექსი „მტკვრის პირას“ გვამცნევს. რომანტიული გრძნობა მარადისობისა ამ სიტყვებშია გამონაკვთული: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის, რას იტყვი? მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!“ ხოლო ამ გრძნობას თან სდევს საშინელი ფიქრი ცხოვრების ამაოებისა, რომელიც შემდეგ სიტყვებშია ჩამოსხმული: „არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?“ უდიდესი ქმნილება ბარათაშვილისა „ბედი ქართლისა“ და მისი შესანიშნავი ლექსი „მეფე ერეკლეს საფლავზე“ მჭერმეტყველურ მოწმობენ, რომ მისი პოეზია ეროვნულ საზღვრებშია **აღმოცენებული**; ხოლო იგი თავის ძლიერებით გარდალახავს ეროვნულ საზღვრებს და შემდგომ ხდება ყოვლად—კაცობრიულად. ყოველი დიდი ქმნილება ასე იბადებოდა. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის იბსენის დრამატიულ პოემას „პერ გინტს“ მოვიყვან: „პერ გინტი“ ნორვეგიულ ნიადაგზეა აღმოცენებული და შემდგომ მსოფლიურად გადაქცეული. აი, ჩემი შენიშვნა. ვიმეორებ: ჩემი აზრის სხვანაირ-გაგება ჩემივე ბრალია.

რაც შეეხება „მერანს“, მე მისი განმარტება ილია ჭავჭავაძის მიერ ყალბათ მიმაჩნია. ეს ლექციაშიც მაქვს ახსნილი, ხოლო მის მთლიანობას არღვევს და გვედრს უხვევს, არ ვამბობ. როცა ჩემი ლექცია დაიბეჭდება, მაშინ ილია ჭავჭავაძის აზრის განხილვა ვრცელ შენიშვნად იქნება ჩართული.

**გრიგოლ რობაქიძე.**

## სასამართლო

**ჭეშმარიტ რუსთა „რუსული კლუბი.“** 28 ოქტომბერს ტფ. სასამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი იოსებ კოსტინსკისა, რომელიც უჩიოდა „რუსულ კლუბს“ წევრობიდან გამორიცხვაზე. 1907 წელს, როდესაც შემდგარა „რუსული კლუბი“. ძალიან ხელ მოკლედ ყოფილა. კლუბი სესხულობდა თურმე ფულს თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სხვათა შორის უსესხნია ვ. ზაბორონკოსაგან, რომელსაც თავის წასვლის შემდეგ ამ ფულის აღება მიუნდვია „რუსულ კლუბის“ წევრის ი. კოსტინსკისთვის.

კოსტინსკის მოუთხოვია კლუბისათვის ფული, მაგრამ კლუბს წერილი გაუგზავნია ზაბორონკოსთვის. კოსტინსკის არ მოუცდია პასუხისათვის და უჩივლია კლუბისათვის. ამის გამო კოსტინსკი კლუბის წევრობიდან გამოურიცხნიათ. ვექილს ტურკევიჩს ტფ. ოლქის სასამართლოში აღუძრავს საჩივარი კოსტინსკის უფლებების აღდგენაზე, მაგრამ 1908 წელს 25 მარტს სასამართლოს ეს საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია.

პალატაში კოსტინსკის ვექილი ტურკევიჩი ამტკიცებდა, რომ კლუბს უფლება არა ჰქონდა კოსტინსკი წევრობიდან გამოერიცხა და მოითხოვა მისი უფლების აღდგენა.

„რუსის კლუბის“ ვექილმა კოლჩევსკიმ ითხოვა ამ საქმის შესახებ კიდევ მოწმეების დანიშვნა.

პალატამ შეიწყნარა კოლჩევსკის თხოვნა და დაადგინა, მისცეს ორი კვირის ვადა მოწმეების დანიშვნისათვის.

**დანიშნულის მოკვლა.**

ამავე დღეს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სანისარ ჩავანოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავის დანიშნულის ანნა თუმანიანცის მოკვლა.

სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ჩავანოვი ან. თუმანიანცის მკვლელობაში და მიუსაჯა ხუთი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

## თეატრი და ხელოვნება

**ილიას საღამო.** 27 ოქტომბერს ქართულ თეატრში გაიმართა ილიას საღამო. თეატრი სავსე იყო, ყველა ადგილი გაიყიდა. ბევრი უკანვე დაბრუნდა, რადგან ბილეთი ვერ იშოვნა. ფარდის ახდისას ლექტორმა გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია: „სქესი, სიყვარული და ილიას პოემა „განდეგილი“. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ და ბ-ნებმა სარაჯიშვილმა და ი. ბარათაშვილმა. შემდეგ დასდგეს ცხოველი სურათები.

—

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში დრამატიულ საზოგადოების დასი საინტერესო წარმოდგე-

---

კანონის მოწესრიგების სფეროში,—ეს კიდევ არა ნიშნავს იმ სოციალურ ერთობას, რომელიც ნამდვილი ერთობაა და რომელიც არის აგრეთვე მიზანი რუს სახელმწიფო კაცთა,—გარუსებით რომ უნდათ განახორციელონ ეს ერთობა, რომელიც მრავალ სხვა სოციალურ მოვლენათ ერთობით დახასიათდება.

ხელად შეგვიძლიან ნათელ-ვყოთ ეს მოჩვენებული ერთობა ერთის უბრალო მაგალითით. ავიღოთ მცხოვრებთა რაოდენობა სხვა და სხვა გუბერნიაში, ვნახოთ, სად რამდენია რუსი, ის ელემენტი, რომლის მსგავსიც უნდა გახდეს ყველა კავკასიელი რუსთა სახელმწიფო იდეალის მიხედვით.

1897 წლის აღწერის ანგარიშით, სტავროპოლის გუბერნიაში 873,301 მცხოვრებზე 91,97% **რუსი** იყო; ყუბანის ოლქში 1,918,881 მცხოვრებზე 90,57% **რუსი** იყო. მაშასადამე, თითქმის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე განხორციელებულა ეს ერთობა: რუსობა დიდს უმეტესობას შეადგენს. თერგის ოლქშიაც მესამედი რუსობაა—933,936 მცხოვრებზე 33,69% რუსია. აგრეთვე ჩერნომორის გუბერნიაში განდევნილ ჩერქეზების მაგივრად 57,488 მცხოვრებზე 60,60% **რუსია**. ამ რუსებისათვის, რასაკვირველია, ადმინისტრატიული ერთობაც განმამტკიცებელია ნამდვილ ერთობისა, რადგან მათი ნამდვილი ერთობა არსებობს, იგი გამოიხატება მათ **რუსობაში** ეს რუსობა კი უმთავრესი ძარღვია ნამდვილ, **სოციალურ ერთობისა**. მაგრამ საკვირველია, რომ ეს ნაწილი „კავკასიისა“ მთელ კავკასიის ერთობაში შედის, მაშინ როდესაც ამიერ კავკასიაში აი როგორ არიან ხალხები დანაწილებულნი: დაღესტნის ოლქში 571,154 მცხოვრებზე 79,17% ლეკია სხვა და სხვა ჯგუფისა და ერთისა და იმავე ძირის ენისა, დანარჩენი მუსულმანები—თათრები, თათები და სპარსელები მუსულმანები არიან ლეკებსავით, მაშასადამე, **დიდი ერთობის** მქონე მუსულმან ლეკებთან. **რუსი კი მხოლოდ 2.81%**. ბაქოს გუბერნიაში 826,716 მცხოვრებზე 58,84% თათარია, 11%—სხვა მუსულმანი, შემდეგ სომხობა და სხვანი, რუსი კი **9,39%**, ისიც უმთავრესად ქალაქ ბაქოში. ყარსის ოლქში 290,654 მცხოვრებზე 35,88% თათარი და თურქია, 25,30% სომეხი, 14,80% ქურთი, მხოლოდ **9,58% რუსი** ერევნის გუბერნიაში 829,556 მცხოვრებზე 53,16% სომეხია, 37,82% თათარი და თურქი, **1,01% რუსი.** განჯის გუბერნიაში 878,415 მცხოვრებზე თათარი არის 60,80%, სომეხი 33,26%, დანარჩენი სხვები არიან, **რუსები კი 2,04%**. საქართველოში: ტფილისის გუბერნიაში (ზაქათალის ოლქიანად) 1,051,032 მცხოვრებზე 50,90% ქართველია, 18,67% სომეხი, დანარჩენი სხვები არიან, **რუსი კი 8,16%**. ქუთაისის გუბერნიაში (ბათუმ-სოხუმიანად)—1,058,241 მცხოვრებზე 85% ქართველია, დანარჩენი სხვები არიან, **რუსი კი 2,22%**.

ეს იმ აბნეულ-დაბნეულ სტატისტიკით, რომელიც 1897 წელს შეადგინეს ნამდვილი ცნობები კი უფრო საგულისხმიერო იქნებოდა. გარდა ამისა, რუსების რიცხვში ჯარი და ჩინოვნიკობაც შედის (თუმცა ამათშიაც ბევრია არა რუსი). ყოველ შემთხვევაში, სად 90% პროცენტი რუსობა ჩრდილოეთ კავკასიაში და სად 1%—9% რუსობა ამიერ-კავკასიაში?! დიდი განსხვავებაა. სად 90% პროცენტი რუსობა და სად 80%—90% ქართველობა, მაგალითად! ამათი ტერიტორიები რომ ერთსა და იმავე სანამესტნიკოში მოაქციო, საერთოდ მათ „კავკასია“ უწოდო, ვითომ ამით ნამდვილი იქნება ან კავკასიის ერთობა რუსეთთან, ან ერთობა თვითონ კავკასიისა?—არა მგონია.

მერე დაუკვირდით: აქ, საქართველოში, 50%—85% ქართველობაა, იქ ლეკეთში—80% ლეკობა, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად დაცული ყოფილა ერთგვარი მოსახლეობა **საკუთარ ტერიტორიაზე**; იქ თათრების ბატონობა, სხვაგან კიდევ ერთმანეთში არეული თათრობა, სომხობა, ქურთობა და სხვანი! გუბერნიებად დაყოფა, რუსის სამართალი და ჩაფარი, ერთად მოქუჩება ასეთნაირად არეულ-დარეულ ეთნიურ და რელიგიურ სხვა-და-სხვა ელემენტთა და „კავკასიელებად“ წოდება ვერა ჰქმნის თვით „ზაკავკაზიის“ ერთობასაც და ჩემის აზრით, ტყუილი ოცნებაა, რომ ოდესმე განხორციელდეს იგი. სულ სხვა საკითხია **სოლიდარობა მათ შორის.** სოლიდარობა და ერთობა ერთი და იგივე არ არის.

**ალაროდიელი.**

(შემდეგი იქნება)

ნასა სდგავს. წარმოადგენენ ჰეერმანის დრამას „იმედის დაღუპვას". ქართულ საზოგადოებისთვის ეს პიესა ახალია, „იმედის დაღუპვამ" ამ ორ-სამ წელიწადში მთელი ევროპის და რუსეთის სცენები მოიარა. ამ წარმოდგენაში მთელი ქართული დასი იღებს მონაწილეობას.

**ილიას საღამო ბაქოში.** წ. კ. გ. ს. ბაქოს განყოფილების თაოსნობით 25 ოქტომბერს გაიმართა ბაქოში ილიას საღამო. პროგრამმა საღამოსი შესდგებოდა ოთხი განყოფილებისაგან. პირველად დასდგეს პიესა „კაცია ადამიანი", სცენა ერთ მოქმედებად, გადმოკეთებული ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან ვ. გუნიას მიერ. მონაწილეობას იღებდნენ ეფ. მესხი და დ. შველიძე. კარგად დაგვიხატეს პირველმა დარეჯანისა და მეორემ ლუარსაბ თათქარიძის ტიპები. ბევრი აცინეს საზოგადოება, რომელმაც უხვი ტაშის კვრით დააჯილდოვა მოთამაშენი. არა უშავდა რა ბ. ლონგურაშვილსაც დათო მსახურის როლში.

მეორედ დაიდგა პიესა: „აღსდგა მკვდრეთითი" ანუ „მარუჩა", ისტორიული დრამა სამ მოქმედებად ბ—ლისა. ეს პიესა პირველად შარშან დაიდგა ბაქოს სცენაზე. პიესამ წრეულს გაცილებით უფრო კარგად ჩაიარა, ვიდრე შარშან. მოთამაშეთ ეტყობოდათ მეტი დაკვირვება და შეგნება. უფრო პასუხსაგები როლი პიესაში მარუჩასი ჰქონდა ქ. ტორელს (ნ. გამრეკელი), რომელმაც ზედ მიწევნით გადმოგვცა ტყვედ გაყიდულ, უგვარუტომო და მონის, მაგრამ ამავე დროს უმაღლესად კეთილ-შობილ და თავის მამულისა და ერის მოყვარულ ადამიანის სულის კვეთება. მაყურებელს ჟრუანტელი უვლიდა იმ დროს, როდესაც მარუჩა ხელებ-შეკრული ტყვედ შაჰის წინა სდგას და ჯალათები თავს დაჰყურებენ თავიანთ მსხვერპლს, რომელსაც არ ეშინიან სიკვდილისა, რადგან იცის, რომ ამით იგი უდიდეს სამსახურს უწევს თავის ქვეყანას. მისი კეთილშობილება იქამდის მიდის, რომ, როდესაც გაიგებს შაჰისაგან, შეთქმულობის გამცემი და მისი დამღუპველი მანია (ეფ. მესხი), რომელიც იქვე აჩვენა შაჰმა კუთხეში მიმალული, არ უნდა დაიჯეროს და ევედრება თავის საყვარელ აღმზრდელს რომის ელჩს პიეტრო დევალეს, არ დაიჯეროს ცოლის ასეთი საზიზღარი საქციელი (მანია ცოლია პიეტროსი).

ეფ. მესხი (მანიას როლში) გამოცდილი მსახიობია და რა გასაკვირველია, რომ მან როლი კარგად შეასრულოს. მადლიერია მისი ბაქოს საზოგადოება დაუღალავ შრომისათვის, რომელსაც ის უსასყიდლოდ ეწევა ბაქოს ქართულ სცენაზე.

შაჰის როლს ასრულებდა დ. შველაძე, რომელსაც აქ ბევრი სცენის მოყვარეთა სთვლის, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იგი არ ჩამოუვარდება ჩვენს ნაფიც მსახიობებს. მან კარგად დაგვიხატა მტარვლის შაჰის ტიპი. პიეტრო დელავალეს როლს ასრულებდა მატარაძე, რომელსაც არ აკლია არც სითამამე, არც სასცენო ნიჭი, მაგრამ გრძნობა-კი ნაკლები აქვს. ცოტა მეტი გრძნობა და სასიამოვნო იქნება მისი თამაში. სიმპატიური როლი ჰქონდა ა. ახობაძეს—ისმაილ-ბეგისა, ასრულებით კარგად შეასრულა, გრძნობიერადაც, მაგრამ ხელს უშლიდა როლის უცოდინარობა. არა უშავდა რა ტყემალაძესაც მომღვრის როლში.

საზოგადოდ პიესამ მშვენივრად ჩაიარა.

მესამე განყობილება შესდგებოდა ქართულ ხოროს სიმღერით. მგალობელთა გუნდმა ბ-ნ თ. ვ. ვლადიმირსკის ლოტბარობით შეასრულა შემდეგი ქართული სიმღერები: „ვისიავისია", (მგზავრული—არაგვის-პირული), „მივალ გურიაში მარა", (გურული მგზავრული), „რერო რერო", „ორმოცის წლის ბებია", და „სამშობლო" ანუ „საზანდარი" (ა. ნ. ყარაშვილისა). სიმღერები ყველას ძალიან მოეწონა საზოგადოებას, მაგრამ ყველაზედ მეტი შთაბეჭდილება მოახდინა უკანასკნელმა „სამშობლომ", რომელიც საზოგადოების თხოვნით განმეორებულ იქმნა.

უკანასკნელად დაიდგა ოპოთეოზი. ილია არაგვის პირზე, მაღლობ ალგილზე, კლდეზე იდაყვ-დაყრდნობილი იდგა, ხელი შუბლზე მიედო და ფიქრს მისცემოდა. ამ დროს კულისებში მგალობელთა გუნდი მღეროდა „ტყეს ესხმება ფოთოლი" აიხადა თუ არა ფარდა, იგრიალა გალერეამ „წამოდექით ფეხზეო" და მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და სმენად გადაიქცა.

ამით დასრულდა საღამო, რომელსაც ხალხი ბოლომდე დაესწრო. საღამოს შემოსავალი ოთხას მანეთს აღემატება.

**ლეჩხუმელი.**

## ბალკანეთის ამბები

**საბერძნეთის პარლამენტი და სამხედრო კავშირი.**

საბერძნეთის პარლამენტი სრულებით არ შეხებია ტიპალდოსის ეხლახან მომხდარ აჯანყებას. ასეთი საქციელი საბერძნეთის პარლამენტისა ერთის შეხედვით ძალზე გასაოცარია. ამისთანა ღირს შესანიშნავი ამბები მოხდა, სამხედრო კავშირის ერთმა ნაწილმა აჯანყება მოახდინა, მეფის გადადგომაც კი მოითხოვა, შინაური მართვა გამგეობის შეცვლასაც თხოულობდა, და პარლამენტი სდუმს. მაგრამ მიზეზი ამ დუმილის იგივე საბერძნეთის დღევანდელი მდგომარეობაა. სამხედრო კავშირს შეუთვლია თეოთიკოსის პარტიისათვის და პალატის თავჯდომარისათვის, რომ კავშირს არა სურს პალატამ მსჯელობა იქონიოს ტიპალტოსის აჯანყების შესახებაო. რომ ეს წინადადება ნამდვილად სისრულეში მოეყვანა პალატას, სამხედრო კავშირმა ორი როტა ჯარი შეიყვანა პალატის შენობაში. ამის მიხედვით პალატა აბა რიგორ ლაილაპარაკებდა აჯანყებაზე. ამას წინადაც ვწერდით, და ეხლა ახალი ცნობებიც ამოწმებენ იმას, რომ საბერძნეთში მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

**აფიცერთა კავშირის განცხადება.**

ბერძნულ გაზეთ „ხრონოსში" აფიცერთა კავშირმა წერილი დაბეჭდა და გამოაცხადა, რომ კავშირში არავითარი უთანხმოება არ არსებობსო. კავშირი იარსებებს, სანამდის არ განახორციელებენ ეროვნულ პროგრამას.

**საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევა.**

ბერძნული გაზეთები იუწყებიან, რომ დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონიათ გამართული საბერძნეთის საქმეებზე. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის შეერთებული შტატების წარმომადგენელიც. სახელმწიფოები იმ აზრისანი ყოფილან, რომ თუ პალატის სხდომაზე მთავრობას ჩამოაგდებენ, სახელმწიფოები მყისვე ჩაერევიან საბერძნეთის შინაურ საქმეებში. ინგლისის წარმომადგენელს ელიოტის დავალებული ჰქონდა ევლო პალატის სხდომებზე საქმის ნამდვილ მდგომარეობის გამოსარკვევად. პირველმა სხდომამ მშვიდობიანად ჩაიარა და სახელმწიფოთა წარმომადგენელიც კმაყოფილნი დარჩნენ ამით და საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე აღარ ფიქრობენ.

**ხმები მეფე გიორგის ტახტიდან გადადგომის შესახებ.**

რუსეთის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ათინიდან, რომ მეფე გიორგის უნდა ტახტიდან ჩამოგდება დაასწროს და თითონ უარი სთქვას მეფობაზეო. კერძო ლაპარაკის დროს მეფეს უთქვამს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია საბერძნეთის ტახტზე დარჩენა. თუმცა დასვენება მესაჭიროება, მაგრამ ტახტიდან გადადგომაზე ვერც კი ვიფიქრებდი თუ არ ამ ბოლო დროის ამბებით. ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი სცდილობს დაარწმუნოს მეფე და უარი ათქმევინოს ტახტიდან გადადგომაზე. აგვისტოშივე უნდოდა მეფეს ტახტიდან გადამდგარიყო; რაც საჭირო იყო მოამზადა და თუ გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანა ამის მიზეზი ის იყო, რომ ინგლისის მეფე ედუარდმა დაბეჯითებითა სთხოვა უარი ეთქვა ტახტიდან გადადგომაზე.

გაზეთები ამის საწინააღმდეგო ცნობასაც გადმოგვცემენ. მეფეს თავის ნებით ტახტიდან გადადგომა არა სურსო. საფრანგეთსა, რუსეთსა და ინგლისს პირობა ჰქონიათ მიცემული მეფე გიორგისთვის, რომ თუ მეფე იძულებული იქნება ტახტიდან გადადგეს, სახელმწიფოები ნახევარ მილიონ მანეთს მისცემენ სუბსიდიად. აი ამ სუბსიდიის დაკარგვა არ უნდა მეფე გიორგის და იმიტომ თავის ნებით არ გადადგება ტახტიდანაო.

**ტახტის მემკვიდრე ბერლინში.**

უცხოეთის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე თავის მეუღლით ბერლინში მოვიდა და პოტსდამში აპირობს დაბინავებას. იმპერატორ ვილგელმსა და მეფე გიორგის შორის დიდი საიდუმლო მიწერ-მოწერა იყო გამართული. ვილჰელმი ურჩევდა მეფე გიორგის დაბინავებულიყო კუნძულ კორფუზე და მოეცადა კრიზისის გათავებისთვის.

**კონფერენცია კრიტეს საკითხზე.**

უცხოეთის გაზეთებში წერილებია დაბეჭდილი კრიტეს საკითხზე კონფერენციის მოწვევის შესახებ. ზოგიერთი გაზეთი იმ აზრისაა, რომ კონფერენციის მოწვევა გადიდოს იმ დრომდე, სანამ დღევანდელი საბერძნეთის მდგომარეობა არ შეიცვლება.

**რუმინელ სოციალ-დემოკრატების დევნა.**

რუმინიაში მთავრობისადმი უკმაყოფილება თანდათან ძლიერდება. მუშათა საერთო გაფიცვა თანდათან ფართოვდება. შეტაკება მუშებსა და ჟანდარმებს შორის რამდენიმე ადგილას მოხდა. სოციალ-დემოკრატებმა დეპუტაცია გაგზავნეს მინისტრ პრეზიდენტთან, მაგრამ დეპუტაციის თხოვნა არ შეიწყნარეს. სოციალდემოკრატიულ პარტიის ცხრამეტს მოღვაწეს სამშობლოდან აძევებენ.

**სერბიის დედა-ქალაქი ბელგრადი.**

სერბიის პარლამენტში აგატანოვიჩმა შეკითხვა შეიტანა და ითხოვა, რომ სერბიის სატახტო ქალაქად ბელგრადის ნაცვლად სხვა რომელიმე ქალაქი იქნას აღიარებული. ბელგრადი განაპირ ადგილს არის. საჭიროა დედა ქალაქს შუაგულის ადგილი ეჭიროს სახელმწიფოშიო. პრემიერ მინისტრმა პასუხი გასცა შეკითხვის ავტორს. ამან ჯერ ხნობით უმნიშვნელოთ ჩასთვალა დედა ქალაქად სხვა რომელიმე ქალაქის აღიარება.

**სერბია და ჩერნოგორია.**

ამას წინად ვწერდით, რომ ავსტრიის გაზეთების სიტყვით, ჩერნოგორელებმა სთხოვეს სახელმწიფოებს, იქონიეთ გავლენა სერბიაზე, ჩერნოგორიის საწინააღმდეგო აგიტაციას ნუ ეწევაო.

**სერბია და ჩერნოგორია.**

ეხლა სერბიის გაზეთები გადაჭრით უარჰყოფენ ამ ხმას. სერბიაში ჩერნოგორიისა და იმის მთავრის წინააღმდეგ არავითარ აგიტაციის ადგილი არა აქვს, ეს ხმები ავსტრიის აგენტების მიერ არის გავრცელებულიო. სერბიასა და ჩერნოგორიის ერთი—ერთმანეთში მეგობრული განწყობილება აქვთ. მართალია ზოგიერთ სერბიის გაზეთში იყო დაწერილი ისეთი რამ, რომელიც ჩერნოგორიის ეხლანდელ სამინისტროს რეაქციონურ პოლიტიკას ჰკიცხავდა. აქ სერბიის გაზეთები მხოლოდ ფაქტს აღნიშნავდნენ. ეხლანდელ ტომანოვიჩის კაბინეტის მეოხებით ჩერნოგორიის ახალგაზდობა იძულებული იყო მიეტოვებინა სამშობლო და თავი შეეფარებინა სერბიისა, ამერიკაში და ოსმალეთშიაც კი.

## რუსეთი

✦ **ქურდის ქურდი ცხონებულია.** ოდესსის გაზეთების სიტყვით, დაბა კალნიბოლოცკოეს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს. ვლადიმერ ტხორჟევსკის ერთი საჯაყი საქმე დაჰმართნია. ტხორჟევსკის ფოსტიდან აუღია 10,000 მანეთი და ერთ მშვენიერ ღამეს ჩამჯდარა მატარებელში და ოდესისკენ წასულა. ერთ სადგურზე ტხორჟევსკის ჯიბეებზე ხელი მოუსვამს, მაგრამ დახეთ უბედურებას, უცნობს ფული ამოეცალა. რაღა გაეწყობოდა. ტხორჟევსკი ოდესაში ჩასულა და აქ საქმეს ისე გასჭირებია, რომ პოლიციისთვის ყველაფერი უამბნია. აი ამაზე იტყვიან ხოლმე, ქურდის ქურდი ცხონებულიაო.

✦ **თავისუფალი-მსმენელები.** საერო განათლების მინისტრს უნივერსიტეტში ცირკულიარი დაუგზავნია, თავისუფალი-მსმენელები სტუდენტების ორგანიზაციებში მონაწილეობას იღებენ და სასტიკად ადევნეთ თვალყური, რომ თავისუფალმა-მსმენელებმა სტუდენტების ორგანიზაციებში მონაწილეობა არ მიიღონო.

✦ **პრესსა ფილანდიაში.** „რეჩი"-ს სიტყვით, ამ ჟამად ფინლიანდიაში 323 ჟურნალი და გაზეთი გამოდის, ასე რომ თვითეულ 8—9 ათას მცხოვრებზე ერთი გაზეთი მოდის.

✦ **ჩაიკოვსკი.** ჩვენ უკვე გვქონდა ცნობა, რომ დააპატიმრეს ცნობილი ემიგრანტი ჩაიკოვსკიო. სატახტო ქალაქის გაზეთებში ჩაიკოვსკი უარსა ჰყოფს ამ ცნობას.

✦ **ინციდენტი.** ამ დღეებში სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილი იყო, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ გრაფ უვაროვს ულაპარაკნია პრემიერ-მინისტრს სტოლიპინთან. ლაპარაკის დროს სტოლიპინი და უვაროვი, სხვათა შორის, შეჰხებიან ოქტომბრისტებს. სტოლიპინს უთქვამს, ოქტომბრისტების მოქმედება პოლიტიკანობაა, მეტი არაფერიო ეხლა ოქტომბრისტების ლიდერს გუჩკოვს სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში გაუჩერებია უვაროვი და უთქვამს: სტოლიპინმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თქვენი ნალაპარაკევი ჭორიაო. გრაფ უვაროვს გუჩკოვისთვის მოუთხოვნია, თქვენი სიტყვები დასწერეთ. გუჩკოვს თანხმობა განუცხადებია. უვაროვს ეს წერილი სტოლიპინისთვის გაუგზავნია. ამბობენ, რომ უვაროვი გუჩკოვს დუელში გამოიწვევსო.

## განცხადებანი


### მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთელ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისთანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги (15—ფ.—1)

### ვაძლევთ 200 მან. საჩუქრად,



ვინც დაამტკიცებს, რომ ჩვენი საქონელი ფასს არ შეესაბამება. მხოლოდ 3 მ. 95 კ.—12 მ. მაგივრად ვგზავნით 17 უსაჭიროესს ნივთს.; 1) მავი საათი კაცისა ანკერისა ან ქალისა, იმართება უგასაღებოდ 40 საათში ერთხელ და 8 წლის თავდებობით; 2) მწოიანი ძეწკვი, არა შავდება; 3) ამისთანავე ახალი მოდის ბრელოკი; 4) ზამშის ქისა საათის შესანახავად; 5) ახალი მოდის ტყავის საფულე 6 განყოფილებით; 6) ახალი ამერიკული—ადვილად სახმარი სამართებელი „სანიტა", ყველას უშიშრად და ადვილად შეუძლიან იხმაროს; 7) ფოჩი; 8) ნიკელის ფინჯანი; 9) სამართებლის სალესი ტყავი; 10) მწოიანი ბეჭედი ორკეც „ოპალი"-ს ქვებით; 11) პარიზული „პლასტოგი" აჩვენებს ყოველნაირ სანახაობას; 12—17 ამისთვის 6 ძალიან საინტერესო სურათი. ყველა ეს ნივთები იგზავნება **მხოლოდ 3 მ. 95 კ. 2 კომპლექტი 7 მ. 40 კ.** შემოკვეთისანათავე ფასდადებით და უბეოდ. ესევე კომპლექტი უკეთეს საათით 4 მ. 50 კ., 2 კომპლ. 8 მ. 50 კ. ზემოდ ნაჩვენები ნივთები დახურულ საათით 1 მ. ძვირია. გადაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ადრესი: Т-ВО „ЗАРЯ", ВАРШАВА, ОТДѢЛ. 94.

ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე.

(Метцль и К-о. N 64150). (1—ნ.—1)

### შიო დავიდოვს და ალექსანდრე ნიკიტინს.

1906 წ. მარტის 20 რიცხვებში ჩემთან გიახლათ [illegible] ტფილისის რუსული გაზეთის [illegible] გამომცემელი შიო [illegible] მე [illegible] მითხრა: ჩემმა ძმის-წულმა ალექსი ალექსის ძე დავიდოვმა გთხოვათ თქვენ, როგორც სახლის პატრონს, სამეურნეო ბანკის წევრს და მასთან მის მეზობელს, რომ სამეურნეო ბანკში წარსადგენად, 6 თვის ვადით 200 მან. ვექსილზე ხელი მოაწერეთო. როგორც ჩემს ნაცნობ კაცს, მე უარი ვერ შეუთვალე და იმავ თვის 24 მარტის თარიღით 200 მანეთის ვექსილზე ხელიც მოუწერე. მას შემდეგ 1908 წლის, ივნისის 24-მდე მე ვუწერდი ხელს ვექსილებზე. ბოლოს, ვექსილზე ხელი რომ მოუწერე, მეორე დღეს მე ავად გავხდი. ამიტომ ალექსი დავიდოვმა ჩემი ვექსილი ბანკში აღარ წარადგინა, იმის მაგიერ დიმიტრი მღებრიშვილის და ნიკოლოზ ნაცვალოვის ხელმოწერილი ვექსილი წარადგინა და ჩემი ძველი ვექსილი დაიხსნა, პროტესტში არ გაუშვა.

მე კარგად გავხდი, მოახლოვდა ექვსი თვის ვადაც, ალექსი დავიდოვმა მე ტფილისის სასამართლოში მიჩივლა და მომთხოვა ამ ვექსილის ძალით 200 მან. გადახდა. გარჩევის დროს თვით ალექსი დავიდოვი სასამართლოში არ გამოცხადდა. რადგან ვექსილი ჩემი ხელ-მოწერილი იყო, ამიტომ სასამართლომ დამაკისრა 200 მანეთის გადახდა. ბევრის თხოვნის და მუდარების შემდეგ, ალექსი დავიდოვმა 50 მ. დაიკლო და 5 აგვისტოს გადამახდევინა 150 მანეთი.

მივმართავ ბ-ნ შიო ედიშერის ძე დავიდოვს და ალექსანდრე ნიკიტინს, რომელთაც კარგად იციან ამ ვექსილების საქმე და თვით ამავე პირებს დავუწერე ეს ვექსილი და ამათვე წაუღეს ვექსილი ალექსი ალექსის ძე დავიდოვს ბანკში, დაამოწმონ, მე მემართა რამე თუ არა ალექსი დავიდოვისა, ან მისი ვექსილი ფულიანი იყო თუ უფულო.

მოიმედე ვარ, რომ ბ-ნ შიო დავიდოვი და ალექსანდრე ნიკიტინი ამის შესახებ პასუხს მომცემენ და მით გამოაჩენენ იმასაც, რომ მე ალექსი ალექსის ძე დავიდოვმა უჯეროდ გადამახდევინა 150.

(1—2600—1) **ზაქარია ჭიჭინაძე.**

### სამანუფაქტურო ვაჭრობა ივ. გრ. პაჭკაჭოვისა

20 ოქტომბრიდან გაიხსნა ვაჭრობა ახალ შენობაში სოლოლაკის ქუჩაზე, „პროვოდნიკის ამხ.-ბის" გვერდით, აზოვო-დონის ბანკის ქვეშ (ამირაღოვისეულ მაღაზიაში). თამამშევის ქარვასლიდან ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ საქონელი განახლდა. მიღებულ იქმნა მრავალი სასეზონო საქონელი. აბრეშუმის, მატყლის, მაუდის, ბამბის და ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლისათვის. მაუდი საუკეთესო თვისების მოსწავლეთათვის და სხვა და სხვა პლედები.

—◀ მ რ ა ვ ლ ა დ ა რ ი ს: ▶—

მაუდის მოსახვევები, საბნები პლიუშისა, ბაიკისა, პიკეისა, ატლასისა და ქიშმირისა.

**ტილოს საქონელი და სუფრეული**

საუკეთესო ფაბრიკისა, გარდინის ტიული, ბლიუშის სუფრები, ხავერდი, პლიუში და მანჩესტერი. აუარებელი ყვავილი. სატინი, ბატისტი, ბამბაზეა, ნუვოტე და ჩითი. საწყობი ბამბის ქაოვილებისა, თეთრი და ფერადი საცვლებისთვის და ბალიშის პირები ცნობილ ფირმებისა.

**იმედი მაქვს, რომ ჩემი საქონელი ყოველ კონკურენციის გარეშე იქნება**

**ფასები შეუვაჭრებლად**

შაბათობით გაიყიდება ნაჭრები. (5—ნ.—2)

### პროვოდნიკის

1897 წ.

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА

1888

**ამხანაგობა რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;